გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 52 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. დავესწარი ფრაქციის 3 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 17 საკითხის განხილვაში.

ასევე, ვარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 1 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 1 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- მიმდინარე წლის ივნისში მქონდა შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის მოსახლეობასთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა მოსახლეობის პრობლემები და მოთხოვნები. მოსახლეობისთვის პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზა, რომელიც საჭიროებდა მოწესრიგებას. მივეცი პირობა, რომ აღნიშნული გზა მოიხრეშებოდა. გზა მოიხრეშა.
- ივლისის თვეში შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფლების გარეჯვარისა და რეხის მოსახლეობას. მათი მოთხოვნა იყო ცენტრალური გზაზე დაზიანებული ასფალტო-ბეტონის საფარის აღდგენა. საკითხი მოწესრიგდა, გაკეთდა ცენტრალური გზის ორმოული შეკეთება.
- შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკას მოსახლეობას. მათი პრობლემური საკითხია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა. შევპირდი აღნიშნული საკითხის მოგვარებას.
- მიმდინარე წლის სექტემბერში შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვების დევნილთა ჩასახლების მოსახლეობას. მოსახლეობა მოითხოვს

სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოასფალტებას და ფეხბურთის მინისტადიონის მოწყობას. შევპირდი, რომ აღნიშნულ საკითხებს დავაყენებდი შესაბამისი სამსახურების წინაშე.

- ასევე, სექტემბრის თვეში შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის დევნილთა ჩასახლების მოსახლეობას. მათი მოთხოვნაა ფეხბურთის მინისტადიონის მოწყობა.

ამასთან ერთად, აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2023 წლის 20 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მიხეილ ვახტანგაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ტყვიავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მიხეილ ვახტანგაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მიხეილ ვახტანგაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული

საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მიხეილ ვახტანგაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გიორგი დარბუაშვილმა, რაჟდენ გელაძემ და მერაბ რაზმაძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ზექა ლობჟანიძე;

საკრებულოს წევრი : მიხეილ ვახტანგაშვილი;